



ახლა კოლონიზატორები გრძნობენ, რომ მათ ბატონობას ბოლო ეღებოდა, მაგრამ—
 იხტიბარს არ იტყვენ. ისინი აცხადებენ, თითქოს თვითონ მიდიან კოლონიებიდან. მაგ-
 რამ ვინ დაიფურებს ამას? ვისთვის არ არის ნათელი, რომ ისინი ამას აკეთებენ, რად-
 გან იციან, რომ მათ, სულ ერთია, სამარცხვინოდ განდევნიან. ყველაზე წინდახედული
 კოლონიზატორები ახერხებენ წახვლას, ასე ვთქვათ, ხუთი წუთით ადრე მანამდე, სა-
 ნამ მათ, უბრალოდ რომ ვთქვათ, „მანდურს ამოჰკრავენ“.

(ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებიდან საბჭოთა კავშირის
 კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე).

სყალუი ჩაყრილი



ჩემმა ცოლმა ულტიმატუმი წამომიყენა, თუ ცხოვრება გინდა, ზამთრისათვის მოემზადე, არა და არ ვიცი, რას ვიზამო.

რას იზამდა, არც მიკითხავს და არც ვიცი, მაგრამ, თავს მოსაჭრელად დავდებ, რომ კარგს არაფერს იზამდა.

— რა მოვიმარაგოთ! — ვეკითხები მორჩილად.

— ჰამიდორის წვენი, ხახვი, ნიორი, კარტოფილი, ლორი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ყურძენი, მსხალი, ვაშლი... — დაიქოქა ჩემი ცოლი.

— კეთილი, კეთილი, — შევაწყვეტინე სიტყვა. შემეშინდა მარწყვიც არ დასახელოს-მეთქი.

— კაკალი, წიწკა...

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და ენერგიულად შევეუდექი ზამთრისათვის მზადებას. ავადუღეთ ჰამიდორი მოვზიდე ხახვი, მოვათრიე კარტოფილი, მოვაჩაქჩაქე ნიორი, მოვწიკე ვაშლი, დავავსე მსხლებით ყუთები და ჩემი ახალმიღებული ბინის სარდაფი შემოდგომის ხეავითა და ბარაქით ისე დავტვირთე, რომ, წარმოიდგინეთ, ჩემი უქათინაურო ცოლის ქებაც კი დავიმსახურე.

კაციც მე ვარ და ქუდიც მე მსურავს-მეთქი, ვთქვი ჩემთვის და უქულოდ გავწიე სამღიანი მივლინებით.

რომ მივიღოდი, ცრიდა, მერე უფრო გაბედულად გაწვიმდა, ბოლოს ისე წამოუშინა, თითქოს ცის ნატეხები მიწაზე ჩამოაქვსო.

„იზუზუნე და იქროლე, შენ, ქარო მსუსხავო“, — მომაგონდა მეფე ლირის სიტყვები, — ოჯახი მომარაგებული მყავს და რას დამაკლებ, — გინდა გრივალად იქეცი-მეთქი.

მესამე დღეს რომ დავბრუნდი, მეგონა დათაფლული ცოლი დამხვდებოდა და პირგამეხებული არ დამხვდა?

— შენ ჩავმარხე იმ სარდაფში! — მომახალა ჩემმა თვალის სინათლემ და სარდაფისაკენ მიმითითა.

— გაიხადე ტუფლები, აიკაპიწე შარვალი. — იყო ბრძანება.

გავიხადე და ავიკაპიწე. — აიკაპიწე სახელოები.

ავიკაპიწე. — ჩადი! ჩავედი.

სარდაფში მღვრიე და დამყაყებული ზღვა იდგა. აქა-იქ ავუღრუნი, ციციკი, ფიცრები, კიბეები, ყუთები და ვინ ვინს კიდევ რა გაედოთ და გამოქდოთ ხარებად ჩემს გონებაგანსილ მეზობლებს.

— ყი-ყი-ყი, — ყიყინებდა კუთხეში ბაყაყი, თითქო ბოროტი სული დაბუდებულა და ჩემს უბედურებას დაძხარხარებსო: — ყი-ყი-ყი-ხი-ხი-ხი!

ძლივს გამოვალე კარი, ჩემი სანოვანე უწყალოდ დაეფარა წყალს. მსხალი თუ ვაშლი, ნიორი თუ კარტოფილი ისე გაბერილიყვენ და დამბალიყვენ, გემონებოდათ, ეამაყებათ წყალში რომ ყვინთავენო.

— ვაიმე, ჰამიდორის წვენი! — იკივლა ჩემმა ცოლმა და ახლალა შევნიშნე წყალში ატივტივებული საცობების ფლოტილია. დულდა უსალიცილო ჰამიდორას და დულდა ჩემი ცოლი.

ვამშვიდე, ვამშვიდე, მაგრამ, საშველი რომ არ დაადგა, დემონსტრაციულად დავტოვე იქაურობა და აფორიაქებული ჩემს ბინას დავუბრუნდი.



იქაც არ მომასვენა ცოლმა: ამდენი ჭირნახული წყალში რომ ჩაყარე, რას ფიქრობ, ადამიანო, ადექი, გაინძერი, თორემ არ ვიცი, რას ვიზამო.

ავდექი და გავინძერი. ღრმადდაფიქრებულმა დავტოვე პავლოვის ქ. № 2-ა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე № 9 სახლში მცხოვრებ მეგობართან გავსწიე, იქნებ დროებით სარდაფი მათხოვოს-თქო.

საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, რომ იტყვიან, მეც ისე მომივიდა.


იქაც იგივე სურათი დამხვდა: წყლით ამოვსებული სარდაფები, დამბალი ჭირნახული, ბაყაყების ყიყინი და აღუღებელი ცოლისაგან გატანჯული ჩემი მეგობარი.

ჩემმა გამოჩენამ დროებითი ზავი ჩამოაგდო აჩხუბებულ ცოლ-ქმარს შორის, მე ჩემი გასაჭირი ვუამბე, მათ თავიანთი შემომჩივლეს, ვანუგეშეთ ერთი მეორე და იმედი გამოვთქვით, რომ, როცა იქნება, ჩვენს მშენებლებს მოავონდებათ, რომ საბურთალოზე, მიწისქვეშა წყლების სიუხვის გამო, აუცილებელია დრენაჟების გაკეთება და მაშინ, სწორედ მაშინ, ჩვენი სარდაფებიც დაშრება და ჩვენც შეგვეძლება, ჩვენი მეუღლეების კანონიერი მოთხოვნილება ღირსეულად დავაკმაყოფილოთ: ზამთრისათვის ჩიტის რძეც კი მოვიმარაგოთ-თქო.

იმედი კი გამოვთქვით, მაგრამ, საიმედოა ეს იმედი თუ არა, ვინ იცის!

ჯერჯერობით კი გაუძელით მეუღლეების დაცაცხანებას, ჩემსავით წყლითგავსილსარდაფიანო ქმრებო!

ნახ. ვა. ლოლუაში



არ ვიცი, ბატონო, რას მივაწერო თქვენი აღელვება. — შენ საჩივრის წიგნი მომიტანე და მე ვიცი, რასაც მივაწერ.



არავისათვის საიდუმლოება არ არის, რომ დაშინებისა და მუქარის მეთოდები ძალის ნიშანი კი არ არის, არამედ კაპიტალიზმის დასუსტებას, მისი საერთო კრიზისის გაღრმავებას მოწმობს, როგორც იტყვიან, თუ ფაფარს ვერ ჩაეჭიდებ, ძუა რადას დაგიჭერსო.

(ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე).

წყალწაღებული ძუას ეკიდებოდაო

მრცხენია

მე იმის კი არ მრცხენია, რომ ქალი დავბერდი და მაინც უმანკოს მეძახიან. იმ კაცის მრცხენია, აგერ იქ რომ დგას, ურიკა გამოუტანია, ზედ ქალის ქვედასაცვალი, ესა და ისა, საქვეყნოდ გამოუფენია და გაჰკეთის...

— რა ღირს, შვილო, ეს წითელი ღილი?

— აბაზად წაიღე. აბა რად მინდა ღილი? გული რაზედაც შემვარდნია, კი მიმიხედვით, მაგრამ მრცხენია... და ენაჩაფარდნილი ვმორდები დახლს. მაშ როგორ?... ნამუსი სახლში კი არ დამჩენია, მოდი და სხვა ქუჩაზე წავალ. რძალმა ქალაღზე ჩამომიწერა საყიდლები: წუმწემა, ნიახური, ერთი თავი ხახვი და... მაგრამ... მრცხენია, მრცხენია იმ ახალგაზრდა კაცის, თუნდაც მომკალით.



შეველი მაღაზიაში. ისევ კაცი დგას დახლთან. ეს კი ჩემი ტოლია. ამას მაინც ვადაუშლი გულსადაც-მეც ვავიფიქრე და გახარებული მივუახლოვდი.

— რა გნებავთ, ქალბატონო? — მომმართა თეთრწვერამ.

— ნემსი.
— აბა, ინებეთ.
აბა ნემსი რად მინდა! თქვენ კი

იციტ, რისი ნატვრაც მაქვს. ცხვირწინ მილაგია, მაგრამ ვერ ვბედავ თქმას, ვერ ვბედავ, ამ ბებრუხუნასი უფრო შემრცხვა. კოჭებამდე ვავწითლი, დახლთან ახალგაზრდა გოგო მოვიდა. დადგა და ერთი საათი ატრიალა სავარცხელი. მოვშორდი დახლს გულდაწყვეტილი. მოშორდა ისიც. ვეკითხები:

— რად არ იყიდე, შვილო, სავარცხელი?

— მე სავარცხელი არ მინდოდა.

— მაშ?

— ისა... აი ისა... და მრცხენია.

თურმე ამასაც არ დაუქარავს სირცხვილი. რცხენია, პოდა, მაშინ კი გაგზარდი და ვეცი ბებერს და ახალგაზრდას.

თქვენ რატომ აღარ გრცხენიათ. რატომ არ რცხენია იმ თქვენს უფროსს? ჩემგან გადაეცით, ასე თუ გასტანა, წელიწადის გეგმას ათ წელიწადშიაც ვერ შეასრულებ-თქო მერე საქონელს ნუ დააბრალებთ—არ გასაღდაო. მაგის მუშტარი ბევრია. ოღონდაც ის პირტიტველა ახალგაზრდა კაცი, ქალის საცვალს რომ ჰყიდის, გავაზენე ლუდის ჩამომსხმელად. ასევე კაცმა კაცს კაცურად ლუდი. და, იქ რომ დედაყავია, ჩვენს ქუჩაზე გამოგზავნე, მაშინ გეგმასაც შეასრულებ და მეც გამოთბება ბებერი ძვლები.


უხანაკო უნაფიქრვილი



უკვლის ტკეპელი

კაბინეტში ორნი ისხდნენ: უფრო ხნიერი და უფრო ახალგაზრდა. უფრო ხნიერი რედაქტორი იყო: სავარძელში ესვენა, ფეხი ფეხზე გადაედო და გაქვავებული სახით ჩაკირკიტებდა რაღაცას.

უფრო ახალგაზრდა დამწყები პოეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე განაცხადა. იგი სკამის კიდეზე ცმუკავდა, ნერვიულად იკამდა თითებს და უაზროდ იყურებოდა ჭერში.



იყო თუ არა იგი პოეტი, ამას გარკვევა უნდოდა.

— მდა. თქვენს ლექსს რაღაც აკლია. აი, თუნდაც, შინაგანი სიტბო. ზამთარზე რომ იყოს, კიდეც პო. ზაფხულზე. იქნება სხვა მოგეტანათ?

ორივე ერთდროულად წამოიწია და უცებ: — ფხრიწი! — გაისმა სიჩუმეში.

შეწუხდა ავტორი. შეწუხდა რედაქტორიც.

— წარმოვიდგენიათ. პირველი შემთხვევა. ათასი კაცი მოდის და რაღა თქვენ...

— ალბათ ბედია!

— ძველი იყო მაინც?! — ორი დღეა, რაც შევაკერინე!

რედაქტორი შეწუხებული უტრიალებდა გარშემო. მაგრამ რას უშველიდა. იგი მხოლოდ რედაქტორი იყო!

— მდივანიც რომ არაა. ნემსი ექნებოდა, ასე როგორ წახვალთ... სხვა შარვალი მაინც მქონდეს აქ! ახალგაზრდამ ლექსის ასაღებად წაიწია.

— არა. ლექსი დატოვეთ. იღეა მომწონს. ზორბადაა ნათქვამი. ცოტას ვავეკრავთ ხელს და მორჩა! ახალგაზრდას ისე გაუბრწყინდა სახე, გეგონებოდათ შარვალი უკვე დაივიწყაო.

— დიდი მადლობა, ნახვამდის! მან ხელი ჩამოართვა რედაქტორს და კაბინეტიდან აორთქლდა.

პარი პარალი



რას გვჩვენებს ამოცანა

ქართული
გინგლირთქვა

ჩემი პატარა გოგონა ისე იზრდება, პაერში ავდება და ოთხას დაძახება არ ღირსებია ჩემგან ჰერის სიდაბლის გამო. უფროსი გოგო კი ისე ჰყავს გათავებულად ჩემს მეუღლეს, რომ წელს მეორეჯერ გვამთავრებინებს ოთხწლედს განახლებული პროგრამით.

სისხამი დილაა, არც აქვთ ვარ და არც იქით, სადღაც შუაში ვნაბავ თვალებს.

— ესაა სკოლა? ვინ მისცა ამის დამწერს დიპლომი? — მეკითხება ჩემი ცოლი.

— რის დამწერს, ქალო!

ზარმა დარეკა, ოთახში მეზობელი შემოვიდა. თან თვალეზღასიებული გოგონა შემოიყვანა.

— გამარჯობათ, დავით, არაუშავს, არაუშავს, იწყეთ. ქეთევან, გამოიყვანე?

— ვერა, ჩემო ზეინაბ!

— გინახავს ასეთი? გვიმახინჯებენ ბავშვებს,

ჩემი სულ გამოტვინდა. რამდენია, გოგო, ორჯერ ორი?

— ოთხი!

— არა, სულ წყალწაღებული კი არაა, მაგრამ, რა გარანტია მაქვს, რომ არ ვიღუპები.

ისევ დარეკა ზარმა და ოთახში მეორე მეზობელი შემოვიდა.

— ვერ გამოიყვანეთ, ქალებო, ამოცანა? დათიკო, გამარჯობა შენი!

— გაუმარჯოს მოსეს, რაშია საქმე?


— ან მე მოვიკლავ თავს, ან ამას დავკლავ ღორივით, ან ამის მასწავლებელს. — თქვა მან და ყურით შემომივლო ოთახში თავისი ბიჭი.

— ჩემგან რა გინდა, რა, შენ ვერ იყვან და...

— ამოიზღუქუნა ბიჭმა.

— მაგას რას ერჩი, იქ, სათავეში ამღვრევენ წყალს. — თქვა ღია კარებში შემოსულმა სხვა მეზობელმა და საჩვენებელი თითი ჰერს მიარქო.

— აღარ იტყვი, ხალხო, რა მოხდა? — შემეშინდა მე. — აეთრიე, გოგო, შენ და მაჩვენე რა ამოცანაა ასეთი, ხალხი რომ დაწყვიტა. — გვეჯავრდი ახლა ჩემს გოგოს.



— რომელი ამოცანა? — გაუკვირდა მას და თვალები მოიფშვინტა.

— დანებე თავი, იძინოს ბავშვმა, ამოცანა თუ გინდა, აგერ არის. — მითხრა ჩემმა ცოლმა და მეოთხე კლასის არითმეტიკის სახელმძღვანელო მომაჩვენა.

ამოცანა № 206. ავტომობილმა ერთ დღეს გაიარა 222 კმ. მეორე დღეს 198 კმ. პირველ დღეს 4800 გრ-ით მეტი ბენზინი დახარჯა, ვიდრე მეორეს. რამდენ ბენზინს ხარჯავდა ავტომობილი თითოეულ კილომეტრზე?

— მდა! — ვთქვი მე.

— ხალტურაა! მაგას ეს ბრიყვი კი არა, აინშტეინი ვერ ამოხსნის. — თქვა მოსემ.

— ლიტერატურაში კიდეც პო, მაგრამ უმაღლეს მათემატიკაში ხალტურაა? — თქვა ზეინაბმა ირონიულად და ქვედა ტუჩი გადმოატრიალა.

— რაო, რას გვეკითხება ამოცანაო? — მკითხა მოსემ.

— რამდენ ბენზინს ხარჯავდა კილომეტრზეო!

— მე რე საიდან ვაიგეთ მაგაო?

— ასე რთული ამოცანის მიცემა ასეთი ღლაპებისთვის შეიძლება? — თქვა ზეინაბმა.

— ჩვენი იმედი აქვთ ალბათ, მაგრამ მე მაგის გამოწყვანი ვარ? ვაი მაგენის პატრონს უბედურს, — თქვა მოსემ.

— ვაი, შვილო, სკოლაში მეგონე და თურმე საშოფროზე ყოფილხარ. — შეიცხადა ქეთევანმა ქალიშვილი.

იმ დღეს ბავშვებს სკოლაში რომელი ჰქუათ-მყოფელი მშობელი გაუშვებდა. ყველანი სახლში ისხდნენ მე კი განათლების სამინისტროში მივქროდი მანქანით მანქანის სახელმძღვანელოს გასათასხირებლად.

— შენი სახელი? — ვკითხე ტაქსის შოფერს.

— ჩემი? ჟორა!

— პო, ჟორა, ბავშვები გყავს?

— ჯერ არა!

— სკოლაში გისწავლია?

— ორი კლასი განათლება მაქვს.

— ნახე რას ასწავლიან ახლანდელ ბავშვებს: ავტომობილმა ერთ დღეს 222 კილომეტრი გაიარაო, მეორე დღეს 198 კილომეტრიო.

— ფინახი ყოფილა, მაგის პლანი ვიდან ასრულებდა?

— მოიცა, პირველ დღეს 4800 გრამით მეტი ბენზინი დახარჯაო, ვიდრე მეორე დღესაო. ამოცანა გვეკითხება — რამდენ ბენზინს ხარჯავდაო ერთ კილომეტრზეო. არ არის ახლა ეს სასაცილო?



— მაგას რომელ კლასში ასწავლიან, ჯიგარო? — მეოთხეში.

— კანქუნა სასაცილოა. ეგეთი ადვილი ამოცანები, სირცხვილი არ არი, მეოთხე კლასის მურტულები ასწავლონ!

— რაა, ბიჭო, სასაცილო, თქვი აბა, რამდენს ხარჯავდა!

— დვესტი გრამ.

— რაო?

— ორასი გრამი რა!

— საიდან?

— როგორ საიდან. პირველ დღეს ხომ გაიარა 24 კილომეტრით მეტი, ზნაჩით 24 კილომეტრზე 4.800 გრ. ბენზინი დაუხარჯია. ახლა 4.800 გაყავი 24-ზე. მიდი, მიდი, ნუ გეშინია!

— 4.800:24=200. — ვთქვი მე მოწაფესავით.

— ესე იგი, ერთ კილომეტრზე ხარჯამს 200 გრამი ბენზინი. ამას რა სკოლა უნდა, ისიც მეოთხე კლასი, ვაჰმე!

— სულ ეგ იყო?

— პო.

— მე რე, შენ რა გინდოდა?

— რა და სამინისტროში მივდივარ, უნდა ბლდვირი ავადინო ასეთ უბრალო ამოცანებზე რომ აცდენენ ბავშვებს. — ვთქვი მე მკაცრად.

— შენ რა ბრაზიანი ყოფილხარ, საქმე არა გაქვს? გაუშვი, გაიხარონ ბავშვებმა, ხელად გამოიყვანებენ, აღრე მორჩებიან გაკვეთილებს, მერე წავლენ, ბურთი ითამაშებენ, ჰა, მოვატრიალო?

— მოატრიალე! და აქ გააჩერე, ორას-ორასი გადაეკრათ. — ვუთხარი მე მძლოლს.

ნახევარი საათის შემდეგ აივანზე სარცხვით გადაკიდული ჩემი მეუღლე ზეინაბს გასძახოდა:

— ზეინაბ, ორას გრამს უღრის, ორას გრამს!

— სონიქა, ვაიგე, ორას გრამ ნადრალა!

— რამდენს ნადრალა, ზეინაბ?

— ორას გრამს, ორასს, მოსე ბატონო!

— რას გვეკითხებოდა ამოცანა?


— რამდენს ხარჯავდაო, ერთ კილომეტრზეო!

— ვინ გამოიყვანა, ვინ?


— ქეთევანის დათიკომ!

— მაღაღეც, დათიკო!

ნახ. გ. ფირცხალავასი



ნიანგის სურს



ნიანგის
სურს

ალპარაკა რადიო, ტელევიზორი, ასმურდენ გაზეთები. ქურები, ტროლეი-ბუსები, ავტობუსები, ტრამვაები აჭრელდენ პლაკატებით, ლოსუნებით.

— რაშიაო საქმე, — იკითხა ნიანგმა.

მოასხენეს: ქურაში მოძრაობის უშიშროების ერთფეროვან გამოცხადებული.

გაითცა ნიანგმა, რა საჭიროაო ამდენი ხმაური, მაგრამ მერე დაფიქრდა, თანაც ცნობისმოყვარეობამ სძლია და გავიდა ქურაში.

ნახა, ბევრი რამე ნახა.

აბა ზოგიერთიც:

ლაქიკაუბის მანქანით „სეიკრობა“

სექტემბრის ცხრა. საღამოს თერთმეტის ნახევარი. ციმციმა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ნახევრად დაცარიელებული ქურები. ჭავჭავაძის პროსპექტზე გადაშვალა დედა და შვილი — წინ ოცნება და იმედები, სიყვარული და სიხარული! რა კარგია ეს ცა, ეს ქალაქი, ეს სიცოცხლე — და...

...სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიმართულებით აწვევტილივით მოაქროლებს „მოსკვიჩი“ გრა 53-17-ს (დაქირავების მანქანას) ვახტანგ გუგუშვილი. რა კარგია ეს ცა, ეს ქალაქი, ეს სიცოცხლე... და...

აი ვახტანგ გუგუშვილი უმატებს სიჩქარეს, მას ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, სასეირნოდ გამოიყვანა ეს მანქანა და არ ისეირნოს?



აი, იგი დაეჯახა დედა-შვილს, გაიტანა და კიდევ უფრო გააქროლა მანქანა, არც სინდისმა შეაჩერა, არც პასუხისმგებლობის გრძობამ, არც უბრალო ადამიანურმა ეთიკამ... დატოვა მსხვერპლნი და სადღაც მიაგდო მანქანა, ორი დღე ეძებდნენ დაკარგულს, „დაკარგული“ კი ეძებდა მოწმეებს, რომ მათთან ერთად „ექვიფა“ უკანა რიცხვით, მერე თავისი ფეხით გამოცხადდა მილიციაში, ვკეიფობდით აქა და აქ, იმასთან და ამასთან, გამოფედი და რას ვხედავ, ვერ დავინახეო ჩემი მანქანა, მომპარაო ვილაყამ, მიშველეთ, მომანახინეთო და მერე, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, მეც კაცი ვარ და მიმსახურეთო...

გაუგეს და... ზის ახლა.

ბიძის სიყვარული

ალბერტ მზევაშვილს ბიძამისი რომ უყვარს, ამას არ უნდა ლაპარაკი და საქმი-თაც „დაამტკიცა“ იგი.

აი როგორ მოხდა ეს.

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, 19 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს სამხედრო გზაზე თბილისის მიმართულებით ალბერტის ბიძას იოსებ მზევაშვილს მოჰყავდა თივით დატვირთული მანქანა და თავისთვის მთლიანდებდა დადლილ-დაქანცული.

იმავე გზიდან იმავე მიმართულებით მოაქროლებდა საბარგო მანქანას გაზ-51 პპ 15-65 ალბერტიც და რატომღაც მიიჩქაროდა სადღაც.

„კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო“, — წამოიძახა ალბერტმა და „ურ-ქინა“ მავიდას, გადააყირავა იგი და მოუსკა... მოუსკა, მაგრამ... ბიძაჩემი ხომ არ იყო ეს? — გაუელვა გონებაში, მოაბრუნა მანქანა და აიყვანა დაზიანებული... მიიყვანა საავადმყოფოში, მოუარა, უპატრონა... სხვა რაღა გინდათ... მერე რა რომ სცადა დაემალა თავისი დანაშაული?

ბიძებო! ძმისშვილები შოფრებად გაზარდეთ, როცა გაგიტანთ, გიპატრონებთ მაინც, ხოლო თქვენ, ვისაც ძმისშვილები არა გყავთ, თავს გაუფრთხილდით, ბიძია, ქურაში ნუ ივლით, თორემ, თუ თქვენი გატანა „მოსხერდა“, გამტანს ან ცა ჩაყლაპავს, ან დედამიწა.

ლვინით აჩქარების შედეგი

7 ოქტომბერს, 22 საათზე, რუკათავი-თბილისის გზისპირას, თბილისისაკენ პირ-შექვეული იდგნენ „ვოლგა“ № არა 16-59 და ავტობუსი № არა 63-94. არც არავის ერჩოდნენ და, ეგონათ, არც არავინ ერჩოდა მათ.

მაგრამ, ნურას უკაცრავად! შენს ნებაზე ვინ გაგიშვებს, ჩემო ძმაო, სხვებსაც ხომ უნდა გაუწიო ანგარიში.

და აი, იმავე გზაზე იმავე მიმართულებით ნუნუნაყლაპი მძღოლი რობერტ ერის-თავი მოაგელვებდა სატვირთო ავტომანქანას გაზ-51 № პპ 94-93.



—რა უძრავად დგანან, როგორ შეიძლება ეს? — იწყინა რობერტ ერისთავმა და თავისი სატვირთო მანქანით ისე ძლიერ შეუენგრია გვერდი ავტობუსს, რომ ძალაუნებურად მოძრაობაში მოსული ავტობუსი დაიძრა. ორ ფრონტშია აღმოჩნდა „ვოლგა“, აქედან ავტობუსი „გაეხახუნა“ სიყვარულით, იქიდან რობერტ ერის-თავის სატვირთო მანქანამ გაჰკრა მოგვერდი, და ამ უკანასკნელმა 30 მეტრისა და 50 სანტიმეტრის გაგლის შემდეგ ძლიერ მოახერხა შეჩერება.

შედეგი:

ოთხი მგზავრის დაზიანება. სამი მანქანის დამტყვევა, ასი კილო ატმის აღ-ღვებვა და ა. შ. და ა. შ.—მერე რობერტ ერისთავისათვისაც ხანგრძლივი დასვენება... ჯდომა.

ნიანგს აღარა სურს ასეთი სურათები ნახოს, აღარა სურს, აღარ.

ავტორი



რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1/XI-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1875, უფ 02692, ტირაჟი 40000

მრისხანე უამს, როცა ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოაწყვეს
შეჭრა კუბაში, მთელი ხალხი კედლად აღსდგა თავისი რევოლუციის
მონაპოვართა დასაცავად. მამაცი პატრიოტისა და რევოლუციონე-
რის ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით კუბელებმა სწრაფად გა-
ანადგურეს ამერიკელი დაჭირავებულები, გადაყარეს ისინი კოჩინო-
სის ყურეში, რაც რუსულად ნიშნავს „ღორების ყურეს“. გზაც იქით-
კენ ჰქონიათ!

(ამს. ნ. ს. სრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებიდან საბჭოთა კავ-
შირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე).

61-920

ეროვნული
ბიბლიოთეკა

